

## ეროვნული ცნობიერების კვლევის თავისებურებები ლადო დონაძის მონოგრაფიულ ნარკვევებში

გვანცა ღვინჯილია

თბილისის ვანო ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, მუსიკის ისტორიის კათედრა

### ანოტაცია:

ნაშრომი ეძღვნება ეროვნული ცნობიერების კვლევის თავისებურებებს ლადო დონაძის მონოგრაფიულ ნარკვევებში, რომლებშიც ქართული მუსიკის პრობლემები სწორედ ეროვნული ხალხური მუსიკის ტრადიციებთან, ერის ისტორიასთან მიმართებაშია შესწავლილი. დონაძე ახალ ქართულ პროფესიულ მუსიკას განიხილავს მე-19 საუკუნეში ეროვნული კულტურის აღორძინების ჭრილში; თერგდალეულთა მიერ ზოგადლიტერატურული და ფალიაშვილის მიერ ზოგადმუსიკალური ენის ფორმირებას ერის გაერთიანების და თვითდამკვიდრების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევს. ეროვნული მუსიკის ფენომენს მოიაზრებს როგორც ქართული ხალხური და ევროპული კლასიკური მუსიკის ტრადიციების სინთეზს, ქართული მუსიკის ევროპეიზაციის ტენდენცია ესმის როგორც ეროვნული მუსიკალური ცნობიერების გაფართოება ევროპული მუსიკის სტილური ნიშნების განზოგადების საფუძველზე. დონაძე ეროვნული ცნობიერების თავისებურებებს უკავშირებს ქართული მუსიკალური ფოლკლორის, “დაისის” მუსიკალური ენის მრავალფეროვნებას, აბესალომის და ეთერის სიყვარულის ტრაგედიულ ბუნებას, ლირიკული მოტივის ეპიკურ-მონუმენტურ პლანში გადაწყვეტის თავისებურებას, ქართულ მუსიკაში რომანტიკულ ტენდენციებს და სოლოსთან შედარებით საგუნდო სიმღერის უპირატეს როლს, “აბესალომ და ეთერის” ორატორიულ-საგუნდო წყობას.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული, ცნობიერება, მონოგრაფია, ნაციონალური, თვითდამკვიდრება

ლადო დონაძის გამოკვლევები მრავალი კუთხით არის ღირებული ქართული მეცნიერებისთვის. განსაკუთრებულ წონას კი მას უდავოდ სძენს გამახვილებული ინტერესი ეროვნული ცნობიერების საკითხებისადმი ქართულ პროფესიულ თუ ხალხურ შემოქმედებაში. დონაძის მრავალრიცხოვან შრომებს შორის ყურადღება უპირატესად მონოგრაფიებზე შევაჩერეთ, რადგან მათში მუსიკისმცოდნის ნააზრევი, ზემოთ დასმული პრობლემის ჭრილში, მეტად კონდენსირებულია.

შესაძლოა სადაოდ გვევლინებოდეს, მაგრამ მაინც მოიძებნოს გარკვეული არგუმენტაცია იმ აზრის ნათელსაყოფად, რომ ეროვნული ცნობიერების კვლევა, ეროვნული ენერჯის მუდმივი განცდის საშუალებას რომ იძლევა, ბევრად მიზანმიმართულ ხასიათს იძენს მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ცვლილებების, ბოზოქარი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ფონზე. სადავო კი არ არის ის, რომ ასეთ პერიოდში ცნობიერების კვლევა ეროვნულის განმტკიცებისა და თვითდამკვიდრების საშუალებად გვევლინება. ამის თქმის საფუძველს გვამღევს საქართველოში მე-19 საუკუნეში განვითარებული პროცესები, როდესაც ეროვნული კულტურის შესწავლის პროცესმა ფუნდამენტური ხასიათი შეიძინა. საკუთარი რაობის

ფუძემდებლური კატეგორიების თუ ღირებულებების კვლევა თვითდამკვიდრების და ნაციონალური აღმავლობის პროცესის ნაწილად იქცა.

ეროვნული ცნობიერების ერთმნიშვნელოვანი დეფინიცია ცხადია არ არსებობს. როგორც მუდმივი განსჯის საგანი, ეროვნული ცნობიერება თან სდევს ერს მისი არსებობის ისტორიულ გზაზე და მარადიული საზრისით ავსებს. მთავარი, არა ამ ფენომენის დეფინიცია, არამედ თავისებურებაა, რომელიც მთლიანი სახით მოაზრებული ბევრად აღემატება მის სტრუქტურაში შემავალი კომპონენტების ჯამს. ეროვნულ ცნობიერებაში მოიაზრება ერის ისტორიულ-გენეტიკური პროცესები, სოციალური კონვულსიები, ფსიქოლოგია, ხასიათი, ტემპერამენტი, მსოფლალქმა და იდეოლოგია, მხატვრულ-ესთეტიკური სამყარო. იგი ეროვნული ფენომენის კვლევის ობიექტებს ამთლიანებს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მთელი, მისი შემადგენელი ნაწილების ჯამს არ უტოლდება. ეროვნული ცნობიერების პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ამ საკითხის კვლევა სხვადასხვა ასპექტების შესწავლის გზით წარმართება ხოლმე და მკითხველში ყოველთვის იწვევს ეროვნული ფენომენის შინაარსის უსასრულობის შეგრძნებას. ხშირად პრაქტიკულად არც კი იყენებენ ტერმინს “ეროვნული ცნობიერება”, მას შესაძლოა ჩაენაცვლოს სიტყვები - “ეროვნული სული”, “ეროვნული ენერჯია” და სხვა.

ლადო დონაძე იმ მეცნიერთა რიგს განეკუთვნება, რომლებიც კონცეპტუალურ პლანში სვამენ პრობლემებს და სიტყვა “ცნობიერების” მუსირების გარეშე მათ პირველ რიგში ეროვნულს უკავშირებენ.

მუსიკისმცოდნე რუსუდან წურჭუმია წიგნში “მეოცე საუკუნის ქართული მუსიკა” მართებულად მიუთითებს ლადო დონაძისა და მისი თანამედროვე სხვა მკვლევარების ღვაწლზე – “XX საუკუნის ქართული მუსიკა ინტონაციურ-ღირებულებითი ორიენტაციების თვალსაზრისით, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთის მხრივ სპეციფიკური ადამიანური შინაარსის გამოვლენასთან, მეორეს მხრივ კი ამ მუსიკის ინტონაციური ბუნების ეროვნულ-ტრადიციულ მიმართებებთან, ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახალი ქართული მუსიკის შესწავლა ეროვნული ტრადიციის კონტექსტში, რასაც ქართველ მუსიკისმცოდნეთა პირველმა თაობამ ჩაუყარა საფუძველი”[1]

ლადო დონაძის ნააზრევი თვით ემოციური შეფასების დონეზე გამოთქმული დებულების შემთხვევაშიც კი აღძრავს მისი გავრცობის სურვილს, რადგან მკვლევარის აზროვნების სტილს აზრის ტევადობა, გადმოცემის კონცენტრირებულობა, პრობლემატიკის მკაფიოდ დასმის უნარი, წერის დინამიკური მანერა გამოაჩევს. სწორედ ამ მაღალი აზროვნების გადასახედიდან შეისწავლის დონაძე ქართულ მუსიკალურ ცნობიერებას სხვადასხვა კერძო პრობლემებთან მიმართებაში. ყურადღებას საკითხთა მხოლოდ გარკვეულ წრეზე გავამახვილებ; პირველ რიგში მივუთითებ, რომ ეროვნული თვითშეგნების აღორძინების ეპოქად მას სავსებით სამართლიანად მე-19 საუკუნე მიაჩნია, ამ პროცესის სათავეს კი ეროვნულ მოძრაობაში ხედავს, რომელმაც იდეოლოგიურად მოახდინა გავლენა კულტურაზე და საქართველოს ისტორიის, ფოლკლორის შესწავლის პროცესს მიზანმიმართულება შესძინა. დონაძემ ნაციონალური სტილის პრობლემები ეროვნული კულტურის აღორძინების ჭრილში განიხილა და სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებსაც დაუკავშირა. მკვლევარის აზრით, მე-19 საუკუნის სამოციანელთა იდეოლოგიით ნასაზრდოვეები ქართული მუსიკაც ნაციონალურია და ეროვნულის წინა პლანზე წამოწევით იმკვიდრებს თავს. დონაძე პარალელს ავლებს თერგდალეულებსა და საკომპოზიტორო სკოლის

წარმომადგენელთა შორის, რომლებიც ეროვნული ხელოვნების ჩამოყალიბების პროცესში ხალხურ შემოქმედებას დაეყრდნენ, წინა პლანზე კი მთლიანი და ერთიანი საქართველოს იდეა წამოსწიეს. მკვლევარი ქართული თეატრის და ფერწერის პრობლემებსაც ეხება, მაგრამ ეროვნული კულტურის კვლევის პროცესში იმთავითვე ლიტერატურას ანიჭებს უპირატესობას. დონაძე, ეროვნული ცნობიერების პრობლემებით დაინტერესებულ სხვა მეცნიერთა მსგავსად, ეროვნული ცნობიერების ფუნდამენტად სწორედ ლიტერატურას მოიაზრებს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოვლენად თერგდალეულთა მიერ ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრება მიაჩნია. მისი აზრით ქართული მწერლობა ორი მიმართულებით შემოქმედებს ქართულ მუსიკაზე. ერთის მხრივ იგი ეროვნული იდეებით ასაზრდოვებს ქართველ კომპოზიტორებს; თვითშემეცნების ფორმირების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი – პატრიოტიზმიც, მისი აზრით, სწორედ ლიტერატურიდან შეითვისეს ქართველმა კომპოზიტორებმა. მეორეს მხრივ მწერლობა და განსაკუთრებით პოეზია ინტონაციურ დონეზე უშუალო შემოქმედებას ახდენს სარომანსო, საოპერო და თვით საგუნდო ჟანრების ჩამოყალიბებაზე, მოგვიანებით, პროგრამული სიმფონიური მუსიკის წყალობით, თვით ინსტრუმენტულ ჟანრებზე. მკვლევარის აზრით არსებობს ერთგვარი პარალელი ზოგადლიტერატურული და ზოგადეროვნული მუსიკალური ენის ფორმირების პროცესებს შორის. მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბებულ ახალ სალიტერატურო ენას იგი ფალაშვილის მიერ ერთიანი ქართული მუსიკალური ენის ფორმირებას ადარებს და ამ პროცესს ნაციის გაერთიანების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევს. საგულისხმოა მკვლევარის კიდევ ერთი დაკვირვება. მისი აზრით, „ზოგადქართული მუსიკალური სტილი“ (დონაძე) ქართული ხალხური მუსიკის სხვადასხვა დიალექტების სტილური თავისებურებების განზოგადების გზით იქმნება მასში ქართლ-კახური დიალექტის უპირატესი როლით, რაც მკვლევარს კვლავ ლიტერატურულ პროცესებთან აქვს დაკავშირებული – “ქართული ლიტერატურული ენის საფუძველიც უპირატესად ქართლ-კახური დიალექტია” – წერს დონაძე [2].

საგულისხმოა თუ როგორ ესმის მკვლევარს ჭეშმარიტი ნაციონალური სტილის რაობა. იგი არაერთგზის მიუთითებს, რომ ეროვნული მუსიკა ქართული და კლასიკური ევროპული ტრადიციის ღრმა და რთული სინთეზის შედეგია, რომლის დროსაც შენარჩუნებულია ეროვნული სტილის სიწმინდე. მისი აზრით, საქმე გვაქვს ნაციონალურის პოზიციებიდან აღქმული ზოგადეროვნული კულტურის ფენომენთან. ამ ტიპის ზოგადეროვნული მუსიკალური ენის შექმნას დონაძე ფალაშვილის სახელს უკავშირებს, რაც მისი აზრით კომპოზიტორის მიერ ეთნოგრაფიზმის, დასავლური კულტურის ეპიგონიზმის დამღევაში და ეროვნულისა და ევროპულის შერწყმაში გამოიხატა. ცხადია, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღევანდელი გადასახედიდან დებულება ზოგადეროვნული მუსიკალური ენის და მისი სალიტერატურო ენასთან რაიმე ფორმით დაკავშირების შესახებ სადავოა.

ეროვნული მუსიკის შემდგომ განვითარებასაც მკვლევარი მოიაზრებს, როგორც მუსიკალური ცნობიერების გაფართოებას ზოგადევროპული სტილის ნიშნების განზოგადების საფუძველზე. ზოგადევროპული და ტრადიციული ქართული სტილის სინთეზის გარეშე არც ქართული სიმფონიზმის სამომავლო პერსპექტივა ესახება. ეროვნული, ფოლკლორიდან მომდინარე მუსიკალური სტილის განზოგადება მისთვის ქართული მუსიკის ევროპეიზაციის ტენდენციას, ამ ფორმით კი ეროვნულის განმტკიცებას ნიშნავს [3].

საგულისხმოა, რომ ქართული მუსიკალური დიალექტების მრავალფეროვნებას დონაძე ხსნის ისტორიული პროცესებით – სამთავროების ფეოდალური დაქუცმაცებულობით, რამაც თითოეულ მათგანს შეუნარჩუნა ინდივიდუალობა, ამ მრავალფეროვნებამ კი პირველ რიგში კულტურულ ფენომენში ჰპოვა ასახვა და ერის სულიერ ყოფასა და მუსიკაზეც იმოქმედა, თუმცა მრავალფეროვნებაში დონაძე ერთიანობასა და ზოგადნაციონალურ თვისებებს ხედავს. ამგვარი მსჯელობა გარკვეულწილად ეხმიანება კონსტანტინე კაპანელის მოსაზრებას ფეოდალური დაქუცმაცებულობის წყალობით შენარჩუნებული ეროვნული თვითმყოფადობის შესახებ.[4]

ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ თუ როგორ უკავშირებს დონაძე “დაისის” ინტონაციურ მრავალფეროვნებას ეროვნული სასიმღერო ფოლკლორის პრინციპს – მრავალფეროვნება ერთიანობაში[5].

იგივე აზრია გამოთქმული მშველიძის შემოქმედებასთან დაკავშირებითაც. კომპოზიტორის სტილისტიკის თავისებურებებს დონაძე ხსნის არა მხოლოდ საკომპოზიტორო ინდივიდუალობით, არამედ ნაციონალური მუსიკის ტიპით, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა კომპოზიტორზე. ამდენად, მკვლევარის აზრით, მშველიძის მუსიკალური ენის მრავალფეროვნება და მრავალწახნაგოვნება იმით აიხსნება, რომ იგი შემოქმედებითად ანზოგადებს ქართულ ფოლკლორს, რომელიც მუსიკალური დიალექტების იშვიათი სიმდიდრით გამოირჩევა. მშველიძის, “ფშაური დიალექტის საიდუმლო შიფრის გამხსნელის”(დონაძე) მუსიკის სტილურ ორიგინალობას დონაძე ეროვნულ ძირებზე დაყრდნობით ხსნის. სათანადო ყურადღებას იპყრობს „აბესალომ და ეთერის“ მესამე მოქმედებასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება ეროვნული ცნობიერების უმნიშვნელოვანესი თვისების შესახებ, ტანჯვის ფსიქოლოგიას რომ შეეხება. დონაძემ აბესალომისა და ეთერის დრამაში არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ზოგადად ქართველი ერის საუკუნოვანი სევდა, ტრაგედია და ტანჯვა დაინახა. ეს მოსაზრება მკვლევარის მრავალი სხვა დებულების მსგავსად თავისუფლად შეიძლება იქცეს დამოუკიდებელი კვლევის საგნად. როგორც ჩანს, მკვლევარმა გმირებისთვის ბედნიერების მიღწევის განუხორციელებლობა განზოგადებულ პლანში წარმოსახა, ამ შემთხვევაში სრულიად გასაგებია პარალელის გავლება იმ ერის ტკივილებთან, რომელიც ისტორიულ ქარტახილებთან ჭიდილით გამოწვეულ საუკუნოვან სევდას „დაატარებს“.

“აბესალომ და ეთერის” საფუძველზე დონაძე ქართულ კულტურაში ტრაგიკულის ბუნებასაც ანალიზებს და ხაზგასმით მიუთითებს, რომ ქართულ მხატვრულ შემოქმედებაში ასახული ტრაგედიულობა საფუძველში პესიმისტური არ არის. მკვლევარი, ფაქტობრივად, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში არაერთგზის აღნიშნულ მოსაზრებას ემხრობა, რომლის თანახმად ქართული სული პესიმიზმს საერთოს არ ცნობს.

მეტად საინტერესოა ეროვნულ ეპიკურ და ლირიკულ სტილთან დაკავშირებული პრობლემის დონაძისეული ანალიზი. “აბესალომ და ეთერში” სიყვარულის მოტივის ეპიკურ-მონუმენტურ პლანში გადაწყვეტის მეტად იშვიათ პრინციპს მკვლევარი ხალხური ეპოსიდან მომდინარედ მიიჩნევს, დონაძის აზრით, “ლირიკის ეპიკურ სულისკვეთებასთან განუყრელი ტიპი”(დონაძე) მშველიძის მუსიკაშიც ხალხურ შემოქმედებაში იღებს სათავეს.

საგულისხმოა, რომ დონაძე “აბესალომ და ეთერის” ორატორიულ-საგუნდო წყობის დასაყრდენს მისთვის ტიპიური სტილის სისადავით და ამადლებულობით,

რუსთაველის პოემაში, სახალხო თქმულებებსა და თვით არქიტექტურულ მონუმენტურ ძეგლებში, საგუნდო პოლიფონიაში ეძებს, “დაისის” სცენიური ფონის, სახალხო დღესასწაულის თეატრალიზაციის საფუძველს კი მცხეთობის, ალავერდობის და გიორგობის დღესასწაულებში”.

დონაძე პირველი ქართველი მუსიკისმცოდნე იყო, რომელმაც დასვა საკითხი ქართულ სინამდვილეში რომანტიკულის უდიდესი მნიშვნელობის და “დაისის” რომანტიკული ტენდენციების ეროვნული ძირების შესახებ.

საგულისხმოა, რომ ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე ვოკალური ჟანრებისადმი მინიჭებულ უპირატესობასაც დონაძე ეროვნული მუსიკალური კულტურისთვის დამახასიათებელი, უპირატესად ვოკალური ნაციონალური ფოლკლორით ხსნის. თანაც, მისი აზრით, ქართული მუსიკალური სტილის სპეციფიკა ნაკლებად ვლინდება სოლო სიმღერებში და უპირატესობა საგუნდო სიმღერას ენიჭება, რადგან ეროვნულ ფოლკლორში რეალურად არსებობს “ქართული სოლოს” პრობლემა. ამავე მიზეზით ხსნის მკვლევარი იმასაც, რომ არიის, რომანსის თუ სიმღერის ნიმუშები ახალ ქართულ პროფესიულ მუსიკაში მეტწილად აღმოსავლურ ან ევროპული მუსიკის გავლენას განიცდის. ფაქტობრივად დონაძე მიუთითებს ეროვნული მუსიკალური ცნობიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებაზე, რომელიც ერთნაირად ვლინდება ხალხურ და პროფესიულ მუსიკაშიც და საგუნდო სტიქიის პრიმატს გულისხმობს.

მკვლევარისა ნააზრევის მეცნიერულ სიცოცხლისუნარიანობას ცხადია მისი შემდგომი ფუნქციონირების ხასიათი და ინტენსივობა განსაზღვრავს. ლადო დონაძე სწორედ ის მეცნიერია, რომლის მოსაზრებებიც დღემდე არ კარგავს მიმზიდველობას, მითუმეტეს რომ მათ არა ერთხელ მისცეს ბიძგი შემდგომი თაობის მუსიკისმცოდნეთა, პირველ რიგში მისი მოწაფეების გამოკვლევებს.

ანტონ წულუკიძის, გულბათ ტორაძის ეროვნული სულისკვეთებით შთაგონებული მემკვიდრეობა, გივი ორჯონიკიძის ქართული მუსიკისადმი ჰუმანიტარულ-ფილოსოფიური მიდგომის ტრადიცია და ესთეტიკური კუთხით შემეცნებული ქართული მუსიკა, დოდო გოგუას მიერ სიღრმისეულად შესწავლილი ქართული მუსიკის რომანტიკულთან, როგორც ეროვნული ცნობიერების მახასიათებელთან მიმართების საკითხი, სიმფონიზმის პრობლემა “აბესალომ და ეთერში”, ფშაური კილოს საკითხი, პიროვნების პრობლემა, მარინა ქავთარაძის ეროვნული ცნობიერების პრობლემები ქართულ ოპერაში, ეროვნული ცნობიერების გამოვლენის საზღვრების გაფართოება “აბესალომ და ეთერში” მითოპოეტური კატეგორიების ურთიერთმიმართების პრობლემის დასმისას და სხვა.

ლადო დონაძის ტრადიციები ქართულ მუსიკისმცოდნეობაში ცალკე ვრცელი ნაშრომის საგანია. ამჯერად კი შემოვიფარგლე ძირითადი ტენდენციების ჩამონათვალთ, რომელიც სრულიად საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ სართაშორისო რანგის მეცნიერის – ლადო დონაძის დებულებები ისტორიული დისტანციიდანაც არ კარგავს მიმზიდველობას და რეტროსპექტული ხედვისას არა მათი გადასინჯვის, არამედ გაღრმავების მოთხოვნილებას ბადებს. მხატვრული ინტუიციის წყალობით შემეცნებული, ინტონაციური აზროვნების პოზიციებიდან აღქმული, განზოგადებული სახით მოწოდებული და მეცნიერულად არგუმენტირებული ნააზრევი ქართული მუსიკისმცოდნეობისთვის ერთგვარი გზამკვლევა და მრავალი საკითხის შესწავლის პერსპექტივას კვლავაც მრავალი მიმართულებით ხსნის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რუსუდან წურჭუმია – „მეოცე საუკუნის ქართული მუსიკა“, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის გამოცემა, 2005, გვ.34;
2. В. Донадзе – Захарий Палиашвили, изд. «Музыка», М., 1971, стр. 24;
3. ლადო დონაძე – შალვა მშველიძე, საქართველოს სსრ. მუს. ფონდი, თბ., 1946, გვ.39;
4. კონსტანტინე კაპანელი – „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996, გვ. 324;
5. В. Донадзе – Захарий Палиашвили, изд. «Музыка», М., 1971, стр. 183